საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №76
2026 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები გამოცდის ჩატარების, მართვის უფლების მინიჭების, გაუქმების, შეჩერებული, ჩამორთმეული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) მართვის უფლების აღდგენის, მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემის (მათ შორის, შეცვლისა და აღდგენის) და გაუქმების, მართვის მოწმობათა გაცემის რეესტრის წარმოების, აგრეთვე უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შეცვლისა და აღიარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 1 აგვისტოს №598 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 01/08/2012, 140130000.22.034.016122) დამტკიცებულ წესსა და პირობებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **38^1 მუხლის 5^1 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) „B“ და „BE“ კატეგორიებისთვის – ქ. რუსთავი, საგამოცდო მარშრუტი №1-№8; ქ. თელავი, საგამოცდო მარშრუტი №1-№2^3; ქ. გორი, საგამოცდო მარშრუტი №1-№4; ქ. ახალციხე, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. საჩხერე, საგამოცდო მარშრუტი №1-№7; ქ. ქუთაისი, საგამოცდო მარშრუტი №1-№4; ქ. ოზურგეთი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. ფოთი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3, საგამოცდო მარშრუტი №6-№10; ქ. ბათუმი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3; ქ. ზუგდიდი, საგამოცდო მარშრუტი №1-№3;

ბ) „C“ კატეგორიისთვის/„C1“ და „D1“ ქვეკატეგორიებისთვის – ქ. რუსთავი, საგამოცდო მარშრუტი №9-№10; ქ. თელავი, საგამოცდო მარშრუტი №3-№4; ქ. ქუთაისი, საგამოცდო მარშრუტი №5-№6; ქ. ფოთი, საგამოცდო მარშრუტი №4-№5; საგამოცდო მარშრუტი №11;“.

2. **№5 დანართის ქ. ქუთაისის №1, №2, №3 და №4 საგამოცდო მარშრუტები ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.**

3. **№5 დანართს დაემატოს ქ. ფოთის №7, №8, №9, №10 და №11 საგამოცდო მარშრუტები თანდართული სახით.**

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.